URL: http://urakparaki.com/?m=4&ID=101312

ავტორი: ნინო დარბაისელი
ჟანრი: იუმორისტული
გამოქვეყნების დრო: 2018-09-17 15:39:52

# პლანი

***

არ მოვყვები მიკიბულებს,
 აზრთა რბოლებს, ჰიპერბოლებს...
ვეტყვი მშივრებს, უმუშევრებს,
უბედობის ნაამბორებს,
რომ უძლებენ თავწახრილნი
 ამ ბობოლებს, იმ ბობოლებს,
- უცხოეთში - პლანს გავყიდით,
შინ - ოცნება დაგვაბოლებს.

ა, კიდო ერთი:

***

ჩვენ გაგვაბრწყინებს თურმე პლანი, პლანი და პლანი.
დაციკლულია პლანზე მთელი ოცნების კლანი,
გვიანიაო უკვე ქვაზე თავისა ხლანი,
გველის ძღომა და ლხინი, მსუყე ნაჭრების თლანი.
ვინ უნდა თესოს, ნეტა, ან აკონტროლოს პლანი?
ვისაც უბია კარზე ორი აეროპლანი.